F 221
1929

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 2 1929 წ. 1 თებერვალი

# ხუთი წელი ულენინოთ

## მოგონება წარსულიდან

ვლ. ბონჩ-ბრუევიჩი

მოულოდნელად კრემლის კომუტატორის ზარის წკრიალი შესმის ჩათვლემილს... ვიღაც შემოვიდა. ეს ჩემი ქალიშვილია.

— შენ ლევ ბორისის ძე გეძახის ტელეფონთან. წამოხტი.

— რაშია საქმე?

— მოდით ბინაზე ზინოვიევთან.

— ეხლავე?

— ამ წუთში, თბილად ჩაიცვით.

სწრაფად ჩავიცვი. ვიჩქარი რატომღაც. მივედი.

ძერჟინსკი, სტალინი, ზინოვიევი, კამენევი, კალინინი — მშვიდათ არიან, როგორც ყოველთვის, მტკიცედ, თითქმის არ ლაპარაკობენ. ზოგი ზის, ზოგი დადის. ლაპარაკი არ ისმის. ვესალმები.

— მოდით აქ, ვლადიმერ დიმიტრის ძევ, შეძახის მე ლევ ბორისის ძე მეზობელ ოთახში.

შემომანათა ღრმა თვალები, პირდაპირ შემხედა:

— ვლადიმერ ილიჩი გარდაიცვალა...

რაღაცამ დამკრა თავში, ატოკდა და დაიკვნესა გულმა. ყელში ბოლმა მომადგა.

— რა არის ეს? ცრემლები—გამიელვა თავში.

— „კომუნისტები არ სტირიან", — გ მოეხმაურა გული.

— დიახ, კომუნისტები არ სტირიან. შემოკრბით ყველა ძალები. შემოკრბით სურვილების რკინის სალტეებო, შემოკრბით — ნერვების მთელო სიმაგრევ, — კომუნისტები არ სტირიან.

— ის უკვე არ არის. ის მოკვდა. დაებრუნდით დანარჩენებთან. ისევ სიჩუმეა. ლაპარაკობენ ოდნავ გასაგონათ. დადიან ჩუმათ, ფრთხილად.

— იკისრეთ გამგზავრების მოწყობა. შეადგინეთ იმის კითხვები, თუ რაა გასაკეთებელი. ჩვენ იქ განვიხილავთ. გამოიწვიეთ ვინც საჭიროა, მითხრა ამხ. სტალინმა, ფერმკრთალმა, მაგრამ მტკიცემ, გარეგნულად დაშვიდებულმა.

— ჩვენ გავემგზავრებით ავტო-მარხილებით, —სთქვა ამხ. ლ. ბ. კამენევმა.— მე, ზინოვიევი, სტალინი, კალინინი, თქვენ კი, დანარჩენები — სასწრაფო მატარებლით.

მე გამოვიძახე კურსკი, იუს*იციის სახ. კომისარი. მარხილები წავიდა. ჩვენ ამხ. სემაშკოსთან და ექიმებთ ნ ერთად წავედით სადგურზე.

მატარებელი, ორი ვაგონი, მზად არის.

ვაგონში—ანნა ილიას ასული და დიმიტრი ილიჩი, ვლადიმირ ილიჩის და და ძმა, გულმოკლულნი მწუხარებით, თავზარდაცემულნი.

იმ წამსვე გაისმა სასტვენის ხმა. აგუგუნდა და აჭრიალდა ორთქლმავალი და ჩვენ დავიძარით. ყინავს სიცივე ძლიერდება. ფანჯრები აფორაჯებულია ყინვით. მთვარეს გარს აკრავს იდუმალი ცისარტყელისებური რკალი.

სიჩუმეა. იშვიათად თუ ვინმე დაილაპარაკებს.

სადგური. გამოვდივართ. ცხენები მზადაა. მეეტლეები, რომლებიც ჩვენ წასაყვანად მოვიდნენ, სდუმან. ყველამ იცის, თუ რათ მოვედით, მაგრამ არაფერს ამბობენ. კი არ მივდივართ, არამედ მივქრით. თეთრ სუდარა გადაფარებულ სოფლებს სძინავთ ღრმა ძილით. მათ ჯერ კიდევ არ იციან, რომ გული, რომელიც ჰფეთქდა ყველა ჩაგრულთათვის, გაჩერდა. და მეტს აღარ გამოეხმაურება არც მათ კვნესას, არც საზეიმო ყიჟინას, არც ბრძოლის მოწოდებას...



სახლი გორკაში, სადაც გარდაიცვალა ლენინი

ის უკვე აღარ არის. ის მკვდარია.

მათ კიდევ არ იციან, რომ როგორც კი ხალხი გაიღვიძებს ახალ შრომისთვის, მსოფლიოს კიდით-კიდემდე მოედება სამწუხარო, გულის მომკვლელი ცნობა—პროლეტარიატის საერთაშორისო ბელადის, მთელი მსოფლიოს ჩაგრულთათვის მებრძოლის სიკვდილის შესახებ და ყველგან, ყველა ხალხები, ყველა ენებზე ქება-დიდებას უმღერიან მას.

ის უკვე აღარ არის. მკვდარია.

ჩვენ კი, ცოცხლები, მივქრივართ იქ, მასთან.

მივქრით მინდვრებით, კიდევ მოსახვევები, წამოტაცი ხეივნით, რომელიც სავსეა მოუხიბლველი ზამთრის სიმშვენიერით, გორაკზე და.. სახლთან, სადარბაზო კარებისკენ.

აერომარხილები ჯერ არ მოსულა. ჩვენ გავიხედეთ დაბლა, დერეფანში, და ნელა, გაუბედავათ, კრძალვით ავედით კიბეზე. აი ის კიბე, რომლითაც უყვარდა სიარული ვლადიმერ ილიჩს ავადმყოფობის დროს. ჩვენ მივდივართ აუჩქარებლად, საფეხურიდან საფეხურამდე, სულ უფრო და უფრო ახლო მასთან, იქ, სადაც ის დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ცოცხალი იყო, სადაც ის უკვე აღარ არის ცოცხალი, სადაც ის უკვე მკვდარია...

შევდივართ ნახევრათ ნათელ ოთახში, რომელიც განათებულია სინათლით გარშემო მდებარე ფანჯრებიდან და კარებიდან. ვხვდებით ნადეჟდა კონსტანტინოვნას.

ის მშვიდათაა, ცოტათი უფრო მეტად, ვიდრე ჩვეულებრივ, არ სტირის—კომუნისტები არ სტირიან!—მაგრამ მთლად განსახიერებული მწუხარებაა. უნებურად გულიდან გულისაკენ იღტვის სურვილი—გამოვსთქვათ მთელი სიღრმე უსაზღვრო მწუხარების, და ჩვენ უნებურად, ჩუმათ ვეამბორებით მის ხელებს, როგორც ხელებს საყვარელი დედისას.

სიჩუმე. დუმილი. სიტყვები არ არის. არ არის და არა.

— წავიდეთ იქ, და ჩვენც წავედით.

დიდი ოთახის შუაში მაგიდა, დატვირთული ყვავილებით და მწვანე ფოთლებით, სარკეები ჩამოფარებულია, ცივა—[illegible] ღიაა. [illegible] სტრები და მაგიდის შუაგულზე—სუფთად ჩაცმული... ვლადიმირ ილიჩი. წყნარი ღიმილი აკრავს მის მშვენიერ სახეს. ოდნავ გამხდარი, წვალების ნიშნების გარეშე, მან მშვიდათ მიიძინა, სამუდამოთ დახუჭა თვალები.

კიბეზე, აუჩქარებლად, თითქოს განზრახ ნელა, ამოდიოდნენ ბოლშევიკების ძველი გვარდიის ბელადები, ახლახან მოსულნი მარხილებით. გულითადი, წყნარი, უსიტყვოთ შეხვედრა ნადეჟდა კონსტანტინოვნასთან.

და შემდეგ იქ, იმ ჯა[illegible] ოთახში, სადაც არ არის არც ცრემლები, არც ქვითინი, მხოლოდ ჟრუანტელის მომგვრელი სიწყნარე.

ყველაზე წინ — სტალინი. ის არ მიდის ისე, როგორც ყველანი; მისი სვლა ქუჩების მხოლოდ მას. ხან მარჯვენა მხარით, ხან მარცხენით მიიწევს წინ, ნაბიჯის მიხედვით აბრუნებს ტანს, მიდის მძიმეთ, მტკიცედ უდევს ხელი თავისი ნახევრად სამხედრო კურტკაზე. სახე მისი მკრთალია და ცივად დაფიქრებული.

აი კამენევი: მისი დამწუხრებული სახე აგრძნობინებს ყველას, თუ რა მძიმე, თუ რა სამწუხაროა ის საათები, რომელსაც ის განიცდის. აი ზინოვიევი, რომელმაც, შესაძლოა, თავისი სიცოცხლის ყველაზე მეტი დრო გაატარა ვლადიმერ ილიჩთან, ვიდრე სხვა ვინმემ. ის დამწუხრებულია, დაფიქრებული და მოწყენილი. მოდის კალინინი. ამოვიდნენ დანარჩენი ჩამოსულებიც. თითქმის შემოირბინა, თავზარდაცემულმა, აღელვებულმა, გაწითლებულმა, გულლია, ნახევრად ავადმყოფმა ბუხარინმა, რომელმაც სრულიად დაივიწყა თავისი თავი და თავს ვერ იკავებდა. ყველანი დადგნენ გარშემო. შეხედეს დამშვიდებულ სახეს იმისას, ვინც ესოდენ ძვირფასი იყო მათთვის ყოველთვის, და ყველამ, თითქოს ერთი აზრით გამსჭვალულებმა, თავი დახარეს. მისწყდა ყოველივე.

— დიალ, დიალ, თქვენ წარმოიდგინეთ! — პირველი დაარღვია სიჩუმე სტალინმა და თავისი მძიმე ნაბიჯით, კვლავ ხან მარჯვენა და ხან მარცხენა მხარის წინ წაწევით შემოუარა გარს ვლადიმერ ილიჩს, თითქოს არ სჯეროდა, რომ სიკვდილმა შეასრულა თავისი შეუბრალებელი მუშაობა და თითქოს სურდა დარწმუნებულიყო, რომ საბედისწერო მუშაობა შეუძლებელია გამოსწორდეს, შეიცვალოს. სტალინს მიჰყვენ სხვები და ასე გაიარა ყველამ, უსიტყვოთ, თავჩაქინდრულებმა და ჩუმათ.

შუაღამე ახლოვდებოდა. უნდა დავბრუნებულიყავით მოსკოვში.

კვლავ მივედით იქ, მასთან. კვლავ გარს შემოვეერტყით მის ცხედარს, არა გვაქვს ძალა მოვშორდეთ, წავიდეთ.

მოწყვეტით, უცებ მივიდა სტალინი ლენინის თავთან.

— მშვიდობით, მშვიდობით ვლადიმერ ილიჩ! მშვიდობით!

და მან, სახე მიმკრთალმა, ორივე ხელი ჩასჭიდა ვლადიმერ ილიჩის თავს, ასწია, დაჰხარა, თითქმის ჩაიხუტა მკერდში, თავის გულთან და მაგრათ, მაგრათ აკოცა თვალებში, ლოყებზე და შუბლში თავისი ცეცხლისებური, დაუვიწყარი კოცნით. ჩაიქნია ხელი და განშორდა ისევე მოწყვეტით, თითქოს წარსული მოჰკვეთა [illegible].

მოუახლოვდა კამენევი, ჩაფიქრდა და დაჰკოცნა ვლადიმერ ილიჩის მკერდსა და სახეს.

— მშვიდობით ილიჩ! — ხმა მაღლა ემშვიდობებოდა და ჰკოცნიდა მას ბუხარინი.

მივიდნენ დანარჩენებიც. და თითეული თავისებურად, მწვავე გრძნობით აღსავსენი, ვინ გაუბედავათ, ვინ კრძალვით, ვინ მოწყვეტით და სწრაფად თავის უკანასკნელ ვალს იხდიდა იმის წინაშე, ვისთანაც სიცოცხლის მრავალი წლები გაატარა მეგობრობაში, ბრძოლაში და მუშაობაში.

დილით ვლადიმერ ილიჩის სიკვდილი გაიგო არა მარტო მთელმა მოსკოვმა, არამედ მთელმა მსოფლიომაც. მუშებმა სამგლოვიაროდ აახმაურეს საყვირები ქარხნებში, სასწრაფოდ მოეწყო გრანდიოზული მიტინგები. მუშაობა შესწყდა. საბჭოთა კავშირის დამწუხრებული პროლეტარიატი თითეულ ფაბრიკა-ქარხანაში თავისებურად გლოვობდა თავის ბელადს და მეგობარს ვლადიმერ ილიჩს.

ვ. ბონჩ-ბრუევიჩ.

# როგორ გადავიღე ამხ. ლენინის სურათი

## მისი არალეგალურად ცხოვრების დროს

### ამხ. დ. მ. ლეშჩენკოს მოგონებები

1917 წ. ივლისის დღეების შემდეგ შავრაზმელი კერენშჩინა მძვინვარებდა: ჩხრეკა, დაპატიმრება, ცემა, მკვლელობა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა; ქუჩებში გაკრული იყო საბეჭდ მანქანაზე სასწრაფოდ დაბეჭდილი უსაძაგლესი შინაარსის ფურცლები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ლენინი და ყველა ბოლშევიკები — გერმანიის ჯაშუშებია, მოსყიდულებია. ეს ფურცლები ალექსინსკის მიერ იყო ხელმოწერილი. პროკურატურა, იუნკრები, პოლიცია, ჯარისკაცები „წესრიგს“ ამყარებდნენ მთელ ქალაქში.

ასეთ პირობებში ცნობამ, რომ ვლადიმერ ილიჩი პეტერბურგში არ არის, დამშვიდება შეიტანა ბოლშევიკების რიგებში. მაგრამ, თუ სად იმყოფებოდა ვლადიმერ ილიჩი — ეს არავინ იცოდა [1].

იმ დროს მე ვცხოვრობდი პეტერბურგის მხარეზე, ლახტის ქუჩაზე, ორ ნაბიჯზე ლენინის ბინიდან. ჩემს ბინაზე, პატარა ოთახში, ცხოვრობდა ამხ. ლუნაჩარსკი.

ერთმა ამხანაგმა, არ მახსოვს ვინ იყო, მომმართა თხოვნით მიმეცა ფოტოგრაფიული აპარატი ვლადიმერ ილიჩის სურათის გადასაღებათ პირადობის მოწმობისათვის. სურათი უნდა გადაეღო ერთ ჩვენს პარტიულ ამხანაგ-ქალს, რომელსაც წარმოდგენაც კი არ ჰქონდა ფოტოგრაფიაზე. რამდენადაც შემეძლო, მე აუხსენი მას ყველა მარტივი მანიპულიაციები და გადავეცი „მხა აპარატი“. მგონი 10 ივლისი იქნებოდა (ძველი სტილით), კარგათ არ მახსოვს, მე მომიტანეს შეკვრა „საიდუმლო ნივთებით“, რომლებიც ხსენებულ ამხანაგს უნდა გადაეცა ვლადიმერ ილიჩისათვის. შევთანხმდით, რომ ის „ნივთებისათვის“ შემოივლიდა მეორე დღეს დილის 11 საათზე.

იმავე ღამით გვიან, სამი საათი იქნებოდა, ჩემს საწოლ ოთახში ქუსლების ბრახუნით და ყვირილით — „ვინ არის აქ?“ — შემოვიდნენ ოფიცრები. მე საჩქაროდ ჩავიცვი ტანთ. აღმოჩნდა, რომ ბინას ჩხრეკდნენ. უმთავრესად ჩხრეკდნენ ამხ. ლუნაჩარსკის ოთახს: პროკურორი, „მილიცია“, [illegible] კარებთან ჯარისკაცი თოფით. ლუნაჩარსკისთან არ მიმიშვეს. დერეფანში რაღაც ხარახურას გროვაში ნახეს რამდენიმე ათეული სამოსწავლო გეოგრაფიული რუკა. თითქოს განზრახ მათ შორის აღმოჩნდა გერმანიის რუკაც. საქმე იმაშია, რომ მე ოდესღაც ვმასწავლებლობდი ჩერნოდაევის რეალურ სასწავლებელში, გეოგრაფიას ვასწავლიდი და ეს საბავშვო რუქები დამრჩა. — მიუხედავათ ჩემი განმარტებებისა, რუქები წაიღეს და ოქმშიც აღნიშნეს.

ამხ. ლუნაჩარსკის ჩამოართვეს ბევრი წიგნები, ხელთნაწერები და სხვ. და თვით ის დააპატიმრეს და „კრესტში“ წაიყვანეს.

ჩხრეკის დროს, რომელიც სამ საათს გაგრძელდა, მე გამახსენდა, რომ ჩემს კაბინეტში, სავარძელზე, დევს შეკვრა „საიდუმლო ნივთებით“ ვლადიმერ ილიჩისათვის. რა იყო შეკვრაში მე, რასაკვირველია, არ ვიცოდი. და რადგან არავითარი იმედი არ იყო, რომ შეკვრა გაჩხრეკას გადაურჩებოდა, დავაჯექი მას და არ გავნძრეულვარ მთელი ჩხრეკის განმავლობაში.

და როცა, ბოლოს, „სტუმრები“ წავიდნენ და თან წაიყვანეს ამხ. ლუნაჩარსკი, მე გადავწყვი-



ნ. ლენინი 1917 წ. ივლისში

სურათი გადაღებულია ამხ. ლენინის არალეგალურად ცხოვრების დროს

ტე — მენახა მაინც, თუ რა „საიდუმლო ნივთებს“ ვიცავდი. გავშალე და განცვიფრებული დავრჩი, როცა დავინახე, რომ შეკვრა შესდგებოდა პარიკების მთელი გროვიდან, რომელიც დანიშნული იყო ვლადიმერ ილიჩისათვის სურათის გადაღების დროს, რომ ის არ ეცნოთ ფოტოგრაფიაზე.

როცა მეორე დღეს ამხანაგი მოვიდა ნივთების წასაღებათ, მე მას უამბე ამხ. ლუნაჩარსკის დაპატიმრებისა და „საიდუმლო ნივთების“ ამბავი. მე მახსოვს, ამ ამბავმა მასზე იმოქმედა და მან, თუ არ ვსცდები, გადასწყვიტა იმ დღეს არ წასულიყო ვ. ი. ლენინთან.

რა ბედი ეწია შემდეგ სურათის გადაღების საქმეს, მე არ ვიცი. აპარატი დააბრუნეს და სურათი არ გამოვიდა.

ცოტა უფრო გვიან, ბოლშევიკური პარტიული ყრილობის დროს, რომელიც ვიბორგის მხარეზე გაიმართა, ერთ-ერთ პირველი სხდომების დაწყების წინ, საღამოს 6 საათი იქნებოდა, ჩემთან მოვიდა ამხ. შოტმანი და მითხრა, რომ საჭიროა ვლადიმერ ილიჩთან გამგზავრება მისი სურათის გადასაღებათ. და ჩვენც იმ წამსვე წავედით: ის გაემგზავრა პირდაპირ სადგურში — ნოვაია დერევნიაში; მე კი ჯერ ვიბორგის მხარიდან წავედი ლახტის ქუჩაზე, აპარატისათვის, მოვამზადე იგი და გავეშურე სადგურისაკენ. როცა მივედი, ამხ. შოტმანს უკვე შეეძინა ბილეთები და ჩვენ მაშინვე გავემგზავრეთ სესტრორეცკისაკენ. გადმოვედით რომელიღაც სადგურზე. მე არც კი ვიცოდი რა სადგური იყო (რაზლივი), სადღაც ქვევით ჩავედით და მოვნახეთ რომელიღაც სახლი.

შოტმანი წავიდა, მე კი დავრჩი ქუჩაში, ველოდებოდი. ის ჩქარა დაბრუნდა ვიღაც ახალგაზრდას თანხლებით, რომელსაც ნიჩბები მოჰქონდა. უკვე ღამდებოდა, როცა ახალგაზრდა და მე ჩემი აპარატით ჩავსხედით ნავში, შოტმანი კი — დარჩა. ადგილ-მდებარეობას სრულებით არ ვიცნობდი. სიჩუმეა, კაცი არსად სჩანს.

და, ბოლოს მივუახლოვდით რომელიღაც ნაპირს, ცოტაოდენი მანძილი გავიარეთ ფეხით. სწორი, ვაკე ადგილი, დაფარული ახალმოჭრილი ბალახით; შორს მოსჩანან ანთებული ფანრები. ეს არის ფინეთის გზის სადგური, ბელოოსტროვი.

მიწაზე პატარა თივის ზვინი. მის ქვეშ რაღაც ამოძრავდა... ეს იყო ცნობილი „ქოხი“, რომელშიც კარგა დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდნენ ამხანაგები და ვლადიმერ ილიჩი.

მათ ჯერ უცხონი ვეგონეთ, მაგრამ ჩქარა მიცნეს მე. შევფორთხდით „ქოხში“ და იქ ჩუმათ ვმუსაიფობდით. მე უნდა ვსთქვა: ვლადიმერ ილიჩი აბსოლიუტურად დამშვიდებული იყო და მხიარულად ლაპარაკობდა.

— გვაპატიეთ, უკაცრავათ, რომ ჩვენ აქ არ გვაქვს ის კულტურული მოწყობილობა, რომელზედაც შეიძლება ჯდომა, — იხუმრა ვლადიმერ ილიჩმა, როცა მე „ქოხში“ შევძვერი.

ის ძლიერ დაინტერესებული იყო ყველაფერით, რაც პიტერში ხდებოდა; ყურადღებით და დაწვრილებით გამომკითხა საქმის ვითარება, ყრილობის ამბავი. როცა მე მას უამბე, რომ ბინაზე დააპატიმრეს ლუნაჩარსკი, მან თავი გააქნია.

ჩქარა სულ გათენდა, ჰორიზონტზე მზემ ამოაჰყუტა. ჩვენ გამოვძვერით „ქოხიდან“ და მე შევუდექი სურათის გადაღებას; საჭირო იყო აჩქარება. მე თან მქონდა წამოღებული სარკიანი კამერა, რომელიც მუშაობდა მხოლოდ მომენტალური კლიტით: უმცირესი სისწრაფე — $^{1}/_{10}$ წამი. სინათლე იყო სუსტი, არასაკმაო, შტატივი არ მქონდა, არც პირობები ხელის შემწყობი. სურათის გადასაღებათ ლენინი მუხლზე დავაჩოქე, რადგან სარკიანი კამერა დაბლა იდგმება, გულის სისწორეზე.

სურათის გადაღება გათავდა. მე დავბრუნდი პიტერში სურათის გასაკეთებლად, ვლადიმერ ილიჩმა გამომატანა მე დიდი წერილი, მიკროსკოპიულად, მაგრამ გასაოცრად გარკვევით დაწერილი პაპიროსის ქაღალდზე.

დ. ლეშჩენკო.

[1] 1917 წ. 19 ივლისს ვლადიმერ ილიჩი ბოლშევიკური პარტიის ცეკას დადგენილებით არალეგალურ მდგომარეობაზე გადავიდა.




1) ტრიბუნაზე.—2) ემიგრაციაში (ლეიპციგი, გერმანია).—3) ვ. ი. ლენინი და მ. კალინინი.—4) წითელ მოედანზე მოსკოვში.—5) კაბინეტში.—6) ვ. ი. ლენინი და ა. რიკოვი.

# გამოფენა მარქსისა და ენგელსის ინსტიტუტში

(წერილი მოსკოვიდან)

ე. პ.

მოსკოვის მარქსის და ენგელსის ინსტიტუტმა ამას წინად მარქსის და ენგელსის გამოფენა მოაწყო. ეს არაა უბრალო გამოფენა ნივთებისა (საბუთებისა, წიგნებისა, ფოტოგრაფიული სურათებისა, გრავიურებისა და სხ.), რომელნიც ვიტრინებში აწყვია და უმიზნოთ განისვენებენ. ამ გამოფენის თავისებურება და ინტერესი იმაში მდგომარეობს, რომ მას სიცოცხლე ჩაუბერავს ამ ნივთებისთვის, ისე რომ ეს საბუთები (წერილები, ხელნაწერები და სხ.) მნახველში აღვიძებენ



**ქ. მარქსი სტუდენტობის დროს**

(მარქს-ენგელსის ინსტიტუტის არქივიდან)

იდეოლოგიური და პოლიტიკური ბრძოლების მთელს პერიოდს. მარქსის და ენგელსის ინსტიტუტს მიზნათ დაუსახავს დაანახოს მეთოდურათ მთელი საუკუნის ამ ორი უდიდესი ადამიანის აზრის და ღვაწლის განვითარება.

ამ თანმიმდევრობის გამოსარკვევათ, რაიცა მარქსისა და ენგელსის აზროვნებასა და რევოლუციურ მოღვაწეობაში არსებობს, გამოფენის მოწყობათ თანამედროვე ეპოქის პირველი „უტოპისტებიდან" დაუწყიათ, XVI და XVII საუკუნის კომუნიზმიდან. აქ არიან ტომას მორი თავისი „უ ტ ო პ ი ი თ", კამპანელლა თავისი „მ ზ ი ს ქ ა ლ ა ქ ი თ". ამ პირველ დარბაზში გამოფენილია უძვირფასი კოლექციები, მარქსის წინამორბედთა, ე. ი. ბურჟუაზიის დიდ მოაზროვნეთა ნაწერების უძველესი გამოცემები: აქ არიან მაკიაველი და ვიკო, დეკარტი და სპინოზა, დიდრო და ვოლტერი, ჰელვეციუსი და ჟ. ჟ. რუსსო.

ინდუსტრიული რევოლუცია, რომელიც რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მოხდა, ჰქმნის ინდუსტრიალურ პროლეტარიატს, რომელიც იტანჯება კაპიტალიზმის რკინის ქუსლის ქვეშ. იმავე დროს იფურჩქნება „თანამედროვე დიდი უტოპია". საფრანგეთში სენ-სიმონი და ფურიე, ხოლო ინგლისში ოუენი იმ მალამოს იგონებენ, რომლითაც ისინი სოციალური უსამართლობის განკურნებას ფიქრობენ.

კლასის შექმნება ნელ-ნელა ირკვევა და მესამე დარბაზში ჩვენ თითქო ვესწრებით ინდუსტრიული პროლეტარიატის პირველ აჯანყებას...

## მარქსის და ენგელსის ახალგაზრდობა

მეოთხე დარბაზში ჩვენ, ასე ვსთქვათ, თვით გამოფენის მთავარ თემაზე გადავდივართ; ესაა მარქსის და ენგელსის ახალგაზრდობის დარბაზი. მნახველი უშუალოდ შედის ამ ორი დიდი ადამიანის ინტიმურ წრეში.

უკვე მარქსის სასკოლო მუშაობაში ჩანს მომწიფებული ადამიანის წინდახედულება. ენგელსი, პირიქით, ფანტასტიურ ნაბიჯებს აკეთებს, რათა თავი დააღწიოს თავისი ოჯახის და აღმზრდელების მიერ შექმნილ ევანგელიურ ატმოსფეროს: იგი სწერს ავაზაკების და მეკობრეების რომანებს, ჰხატავს ეგზოტიკურ პეიზაჟებს, ჰბაძავს ბერძნულ მუზას.

ენგელსი ბრემენში მიემგზავრება და ნოქრათ დგება ერთს სავაჭრო ფირმაში. მარქსი ჯერ ბონნის უნივერსიტეტში იწყებს სწავლას, შემდეგ ბერლინში გადადის. ამ დროს ჰეგელის ფილოსოფიის ტრადიციები უზენაეს წერტილს აღწევს. ახალგაზრდა ჰეგელიანები იწვევენ გერმანიის გონებრივი მოძრაობის გაცხოველებას.

ჩვენი ორი დიდი ადამიანის ცხოვრება თავისი გზით მიდის ამ მღელვარე პერიოდში; მარქსი ღებულობს ფილოსოფიის დოქტორის ხარისხს, ირთავს ჟენნი ფონ ვესტფალენს, თანამშრომლობს „რეინის გაზეთში", ხოლო ენგელსი სწყვეტს თავის „ძაღლურ ცხოვრებას" (ასე ახასიათებდა იგი კომერსანტის ცხოვრებას, რომელსაც ძალაუნებურათ ატარებდა), ბერლინში მიდის სამხედრო ბეგრის მოსახდელად და ერთს წელიწადს მოხალისეთ მსახურობს, დადის ახალგაზრდა ჰეგელიანების წრეში, მაგრამ ჯერ კიდევ როდი ხვდება მარქსს.

მარქსის პირველად ჩასვლას პარიზში (1843) გაუზომელი შედეგი მოჰყვა მუშათა მოძრაობისთვის. ამ დროს გამოაქვეყნა მან თავისი დიდი აღმოჩენანი ისტორიულ და ეკონომიურ მეცნიერებაში, სახელდობრ ისტორიული მატერიალიზმის თეორია და ზედმეტი ღირებულების თეორია. მეხუთე დარბაზი გვიხატავს ამ ნაყოფიერ პერიოდს მარქსის ცხოვრებაში.

## მარქსი მოაზროვნე და მებრძოლი

მეექვსე დარბაზში ჩვენ თვალწინ იშლება „კომუნისტური მანიფესტის" და 1848 წლის რევოლუციის პერიოდი. აქ გამოფენილია პირვანდელი დოკუმენტები 1848 წლის რევოლუციის შესახებ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში; აქ მოიპოვება „კომუნისტური მანიფესტის" ყველა გამოცემა, დაწყებული გერმანული გამოცემიდან, რომელიც ლონდონში დაიბეჭდა 1848 წელს. მნახველს შეუძლია თვალი ადევნოს არა მარტო თებერვლის რევოლუციის განვითარებას, არამედ აგრეთვე მარქსისა და ენგელსის აქტივობის გაშლასაც 1848—1849 წლებში, საფრანგეთსა, გერმანიასა, ავსტრიაში და კომუნისტთა ლიგის თავგადასავალსაც. დამარცხებას ემიგრაციაში წასვლა და პროცესები მოსდევს. ეს უკვე შემდეგი დარბაზის თემაა. მარქსი აკრიტიკებს დამარცხებას, ეკამათება გერმანიის წვრილ ბურჟუაზიას, რომელიც შევიდა რევოლუციონერების რაზმებში, არკვევს და აანალიზებს რევოლუციურ მოძრაობას და საძირკველს ყრის პირველ ინტერნაციონალის დასაარსებლად.

თუმცა მარქსი ქონებრივად დიდათ შევიწროვებულია, იგი განუწყვეტლივ მუშაობს მეცნიერულად, აგროვებს მასალას, რომელიც თავის „კაპიტალის" დასაწერათ სჭირია. საცხოვრებელი სახსრის მოსაპოვებლად იგი „ნიუ-იორკ ტრიბუნაში" თანამშრომლობს. მისი წერილები, შეგროვილი დღეს ერთ ტომათ „აღმოსავლეთის კითხვის" სათაურით, ნამდვილი კლასიკური შრომაა ამ დარგში. ენგელსი უბრუნდება „ძაღლურ ცხოვრებას", ე. ი. ხელახლა სავაჭრო სახლში შედის მანჩესტერში და შეძლებისამებრ დახმარებას უწევს თავის ძველს მეგობარს მარქსს.

შემდეგი დარბაზი „კაპიტალისა" და პირველი ინტერნაციონალისადმი" არის მიძღვნილი. ჩვენ თვალწინ იშლება პირველი ინტერნაციონალის (1864—1872) მთელი ისტორია სენმარტენის მიტინგიდან დაწყებული (1854) პირველი ინტერნაციონალის ამერიკაში გადატანამდე, რაიც ჰააგის კონგრესის შემდეგ მოხდა 1872 წელს. დარბაზის მარჯვენა ნაწილი „კაპიტალს" უჭირავს. აქ ადამიანი გაეცნობა მარქსის „ტეხნიკას". მისი მუშაობის მეთოდს, მის დიაგრამებს, მის „იეროგლიფებს", რომელნიც ასე აძნელებენ მის მიერ დატოვებული ხელნაწერების გარჩევას. ზოგიერთი პარაგრაფი შვიდჯერაა გადაწერილი: აქედან სჩანს რამდენს მუშაობდა მარქსი, რათა თავისი აზრებისთვის საბოლოოდ ჩამოყალიბებული ფორმა მიეცა. აქ საპატიო ადგილი უჭირავს „კაპიტალის" გამოცემას სხვადასხვა ენაზე, პირველ თარგმანებს და მთარგმნელთა სურათებს.

ერთი კუთხე მიძღვნილია მარქსის პირადი ცხოვრებისადმი.

## მარქსიზმი მსოფლიოში

უკანასკნელ, მეცხრე დარბაზში სჩანს, თუ რა შედეგები მოიტანა მარქსისტული იდეების გავრცელებამ ევროპაში. ხდება სოციალ-



**ფრ. ენგელსის ჯერ გამოუქვეყნებელი სურათი**

(მარქს-ენგელსის ინსტიტუტის არქივიდან)

დემოკრატიული პარტიების ჩამოყალიბება. მეორე ინტერნაციონალის პირველი მებრძოლები, სანამ ენგელსი ცოცხალი იყო, მისი უშუალო გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. მეორე ინტერნაციონალის დაარსება, პირველი მაისის დაწესება მუშათა საერთაშორისო დღესასწაულად, ციურიხის პირველი კონგრესი (1893), უკანასკნელი სოციალისტური კონგრესი, რომელსაც ენგელსი დაესწრო, ყოველივე ეს ამ დარბაზის თემას წარმოადგენს; იგი თავდება თვით ენგელსის სიკვდილით (1895).

ადგილის უქონლობის გამო გამოფენილია სრულიად მცირედი ნაწილი მდიდარი კოლექციებისა, რომელიც ინსტიტუტს მოეპოვება.

თუ გამოფენას მთლიანად განვიხილავთ, უნდა ვსთქვათ, რომ იგი მეტია, ვიდრე მარქსის და ენგელსის გამოფენა, იგი ევროპის მუშათა მოძრაობის ისტორიას წარმოადგენს. მეორე თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი პერიოდი შეიძლება ცალკე შესწავლილ იქნას: მაგ. დიდი უტოპისტების ხანა, ჩარტისტული მოძრაობა, ლასალი, მუშათა მოძრაობის დასაწყისი გერმანიაში და სხვადასხვა თეორეტული პერიოდი, რომელიც დამოუკიდებელია თავისთავად, საერთო მოძრაობასთან კი არის დაკავშირებული.

გამოფენა ფართო მასებს იძლევა შესწავლისთვის და კარგი იქნებოდა მუდმივ გამოფენათ გადაიქცეს ეს.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ მარქს-ენგელსის გამოფენა [illegible] მუშაობის დაგეგმვას, რომელსაც მარქსის და ენგელსის ინსტიტუტი მარქსისტული ლიტერატურის შეკრება და მეცნიერულად გამოცემის დარგში [illegible].

მხოლოდ პირველ პროლეტარულ სახელმწიფოს შეეძლო ასეთი პატივი ეცა ამ ორი დიდი ადამიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობისათვის, ამ საქმის შესრულებისთვის ეს სახელმწიფო ღირსია უდიდესი ქებისა.

ე. პ.

# მოსკოვის კულტურისა და დასვენების პარკი

ტიციან ტაბიძე.







მოსკოვში ყოფნის დროს თითქმის ყველგან მესმოდა ერთი ახალი წამოწყების შესახებ. დაწესებულებაში, ტრამვაიში, ქუჩაზე თუ ოჯახში ყველგან ლაპარაკი იყო კულტურისა და დასვენების პარკზე.

ეტყობოდა მოსკოველებს ძლიერ მოსწონდათ ეს ახალი მიღწევა და ამიტომაც უშურებოდენ მის სანახავად.

უცხოეთიდან ჩამოსული დელეგაციები ყველაზე წინ იქ მიჰყავდათ, მეც გადავწყვიტე მენახა და დამეთვალიერებია ეს პარკი.

პარკის ტერიტორია იწყება „ქვის ხიდთან" (КАМЕННЫЙ МОСТ) და თავდება ვორობიოვის მთებთან. შიგ მოქცეულია ყოფილი „ნესკუჩნი სად"-ი და ამრიგად თითქმის ათი კილომეტრამდე აღწევს. პარკი მიუყვება მდინარე მოსკოვს, ასე რომ შესვლა შეიძლება პატარა გემებითაც. რამდენიმე ადგილას გაკეთებულია სანაპირები.

წინათ ამ პარკის უდიდესი ნაწილი დიდი მთავრის ქალის—ელიზავეტა ფეოდოროვნას საკუთარი ბაღი იყო და მის მეტს არავის შეეძლო იქ შესვლა.

ეხლა ეს უზარმაზარი ბაღი საჯაროთ გახსნილია. წინათ იქ ყოფილა სამეურნეო გამოფენა, როგორც ჩვენში იყო დიდუბეში. ახლად აგებული შენობები დაუტოვებიათ, და როცა შეხვალთ ბაღში, თქვენ წინ აშართულია სამ სართულიანი პავილიონი, რომელშიაც დაცულია გამოფენის ექსპონატები.

აქ თქვენ უშუალოთ ეცნობით სოციალისტურ აღმშენებლობას. აუარებელი ექსპონატები, დიაგრამები, ქარტები და სხვა აღნიშნავენ ყოველ ახალ მიღწევას და ყოველ წელს კიდევ მიუმატებენ, რაც ახალი რამე იქნება. შესავალთან დიდი დერეფანია—მანეჟითით, აქ არის ფოსტა-ტელეგრაფი, ტელეფონი. საერთოდ მოსკოვში ამ მხრივ ბევრი რამ არის გაკეთებული, რამდენიმე ადგილას სდგას რადიო-გადამცემი აპარატი, მოწყობილია ოთახები ახალი ავეჯეულობით და თვალის წარმტაცი სისუფთავეა დაცული ყველგან.

აქვე გახსნილია ყველა გამოცემათა და გაზეთების კიოსკები. შეგიძლიათ გამოიწეროთ წიგნი, გაზეთები და ჟურნალები. ამ კიოსკებში გამოფენილია ყველა ახალი წიგნები. აქვეა „მოსსელპრომის" ფანჩატურები და ყველაფერი იყიდება კოოპერატიულ ფასებში.

შესავალთან მოწყობილია უზარმაზარი კინო, რომელიც ორი ათასამდე კაცს დაიტევს, კინოში ძველ გაცვეთილ სურათს კი არ უჩვენებენ, არამედ ახლად გამოშვებულ სურათებს, ჩვენს იქ ყოფნის დროს აჩვენებდენ „კაპიტანსკაია დოჩკას", რომელიც ეს იყო გამოუშვეს ბაზარზე.

ფასები სამჯერ ნაკლებია, ვიდრე ქალაქის სხვა კინოებში და ამბობენ—შემდეგში კიდევ უფრო იქნება დაკლებულიო. პარკში უკრავს ათამდე ორკესტრი, სხვადასხვა ადგილას. ყველაზე დიდი ორკესტრი შემოსავალ დიდ შენობის აივანზეა.

მოსკოვის მდინარის ნაპირას მოწყობილია დიდი ტერასა, საცეკვაო პავილიონით, აქაც უკრავს ორკესტრი და ახალგაზრდობა ცეკვავს, ჩვენ იქ ყოფნის დროს შემოსულიყვნენ ცოტა შემთვრალი ახალგაზრდები და მეუფერებელ შენიშვნებს იძლეოდენ; იმ წამსვე გაჩნდენ ახალგაზრდა კომკავშირელები და სთხოვეს ბაღი დაეტოვებიათ. ეს მოთხოვნა ისე ენერგიულად იყო ნათქვამი, რომ სტუმრები არ გაჭირვეულებულან, და დარცხვენილები დაემორჩილენ. პარკის რამოდენიმე პუნქტში მოწყობილია სასადილოები და სასაუზმოები, ყველგან იშვიათი სისუფთავე და იაფობა სუფევს, სტუმრები თვითონ მიდიან სალაროსთან, მოაქვთ რაც უნდათ და ოჯახობით მიუსხდებიან მაგიდას. არსად ამ სასადილოებში მაგარ სასმელებს არ ყიდიან, საერთოდ მოსკოვში ძალიან შეამცირეს მაგარი სასმელების გაყიდვა. პარკში იმდენი სანახაობაა, რომ ერთ და ორ დღეს ვერც კი მოასწრებს კაცი დაათვალიეროს, ასე რომ მოწყენისთვის დრო არ ექნება.

ყველაზე უფრო შესანიშნავი ამ პარკში არის ბავშვების ქალაქი.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ მოსკოვში ბავშვებზე ზრუნვას არაჩვეულებრივი ყურადღება ეთმობა. ამას შენიშნავს გარეშე მაყურებელიც. საკმაოა ტრამვაიში გამოჩნდეს ბავშვიანი ქალი, რომ ყველანი ერთმანეთს ედავებიან დაუთმონ ადგილი, მათთვის აგრეთვე არსად არ არსებობს რიგი, არც რკინის გზაზე, არც ტრამვაიზე და არც მაღაზიებში.

სადაც ლამაზი და კარგი სახლია მოსკოვში, იქ უთუოდ საბავშო სახლია. ეს საბავშო ქალაქიც მართლა ნამდვილი პატარა ქალაქია. პარკიდან გამოყოფილია ბავშთა ქალაქი და აწერია—დიდებო, ნუ უშლით ხელს ბავშვებსო. დაშლით არავინ უშლის, მაგრამ ისე აუარებელი ცნობისმოყვარე ხალხი მიჩერებია ბავშვების სამეფოს. ჟურჟე-

რომბით ეს ქალაქი ათას ბავშვისთვის არის გაკეთებული, მაგრამ მისი გადიდება დაუსრულებლივ შეიძლება, იმდენი ადგილი აქვს გარშემო.

მისალებ ოთახში მუშა დასტოვებს თავის ბავშვს დილიდან საღამომდე, შეუძლია წავიდეს და საღამოს დაბრუნდეს, აქ ბავშვს გადააცვამენ სრულიად ახალ ტანისამოსს, მისთვის მზად არის პატარა ლოგინი და მაგიდა ყოველგვარ მოწყობილობით, არის სავქიმო პუნქტი, წითელი ჯვრის განყოფილება, არის მშვენიერი საბავშო თეატრი, საკმაო ტრამვაები და ავტობუსები და ათასი სათამაშო და გასართობი. ბავში ისე გაატარებს ამ რვა საათს, რომ ვერც კი დაიარს ყველა გასართობ ადგილს.

მშვენიერი სანახავია და მოსასმენი ამ ბავშვების ჟრიამული და მხიარულება.

პარკის სხვა ადგილებში მოწყობილია ფიზკულტურის მოედნები ყოველგვარი სპორტისთვის, როგორც დიდებისა, ისე მოზრდილთათვის: ფუტბოლი, ტენისი, კროკეტი, პინგ-პონგი, საბილიარდო, საჭადრაკო და ბევრი სხვა. ყველასათვის ცალკე მოედანია, ან ცალკე დარბაზი, შენობები ახლად აგებულია და ყველგან სისუფთავეა. მოსკოვის მდინარეზე კიდევ აუარებელი ნავებია და მთელი მდინარე მოფენილია ახალგაზრდობით. პარკში გაშენებულია რამდენიმე თეატრი, არის აგრეთვე განსაკუთრებული „დედოფალების თეატრი“ (кукольный театр) და სალექციო ტრიბუნები.

პარკის ახალი ნაშენობა მორთულია ახლად გაშენებული ბაღით, შიგნით კი ასწლოვანი ქვებია და უზარმაზარი ტბები. საერთოდ ეს პარკი ახდენს ერთ უზარმაზარ კურორტის შთაბეჭდილებას: ტბები და მდინარე, ნაძვები, პავილიონები... მთავარი ის არის, რომ პარკი გაშენებულია შუა ქალაქში და მისაწვდომია ყველა რაიონისათვის.

უეჭველია ეროვნული რესპუბლიკებიც გაიჩენენ ასეთ პარკებს, მით უმეტეს ეს მოსახერხებელია კავკასიაში, სადაც ბუნება ხელს უწყობს ასეთ დასასვენებელ ადგილების გაშენებას, ამ მხრივ მოსკოვის კულტურისა და დასვენების პარკი მართლაც საცდელი და საჩვენებელი სადგურია.

კულტურისა და დასვენების პარკი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა პროლეტარული კულტურის ფრონტზე.

**ტიციან ტაბიძე.**

# ქუთაისის ბარიტის ქარხანა



ბარიტის ქარხნის აგება ქუთაისში დაიწყო 1927 წლის დასაწყისში. ქუთაისი იმიტომ აირჩიეს ქარხნის ასაგებ ადგილათ, რომ ჯერ ერთი მახლობლად მდებარეობს ბარიტის მადნის ბუდობები და მეორეც ქუთაისიდან რკინის გზით უშუალოთ შეიძლება გადამუშავებული მადნის გაგზავნა დანიშნულების ადგილას.

ამჟამად ბარიტის ქარხნის აგება უკვე დამთავრებულია და აბჰეს-ქუთაისს შორის ელექტრო ენერგიის ხაზის გაყვანისთანავე ქარხანა ამუშავდება. ყოველწლიურად ქარხანა დაამზადებს 400.000 ფუთ დაფქვილ ბარიტს. დაფქვილი ბარიტი ბაზარზე მეტი ღირს და მასზე მოთხოვნილებაც დიდია.

ჩვენი ბარიტის უმთავრესი მომხმარებლები არიან საბჭოთა კავშირის სხვადასხვა სამრეწველო-სავაჭრო ორგანიზაციები. საქართველოს სამთო მრეწველობის ტრესტთან დადებული აქვს ხელშეკრულება საზოგადოება „ლაკო-კრასკას“ ბარიტის მიწოდების შესახებ. „ლაკო-კრასკა“ ჩვენი ბარიტიდან ამზადებს სხვადასხვა ძვირფას საღებავებს, რომლებზედაც ძალიან დიდი მოთხოვნილებაა თვით საბჭოთა კავშირის ბაზარზე. ბარიტიდან ამზადებენ აგრეთვე ელექტროტეხნიკაში საჭირო სხვადასხვა საგნებს და ნივთებს.

ბარიტის ქარხნის აგება დაჯდა 650.000 მანეთი. ქარხნის აგებას ხელმძღვანელობდა ს. მ. უ. ს. ახალშენებათა სამმართველო.

**დ.**

# ოსიაურის სასოფლო-სამეურნეო არტელი.



**არტელის მიწების ხვნა ტრაქტორებით.**

სოფ. ოსიაური ხაშურიდან დაშორებულია 2 ვერსით. სულ სოფელში 260 კომლია. 1928 წლის აგვისტოში სოფ. ოსიაურში ამხ. ტატე ბუხრიკიძის და გიორგი კალმახელიძის თაოსნობით დაარსდა სას. სამ. არტელი, ყველა მიწები, გარდა ბაღ-ვენახისა, განსაზოგადოებული იყო. ოქტომბრის პირველ ნახევარში დამთავრდა კოლექტივის მიწების მოწყობა. ამჟამად კოლექტივში 100 წევრია, რომლებსაც გაერთიანებული აქვთ 328 დეს. მიწა. ეს მიწები კოლექტივს მიზომილი აქვს 3 ნაკვეთად. სულ კოლექტივში 481 სულია, მათ შორის პარტიული 7 და 15 კომკავშირელი. შემოდგომაზე კოლექტივს დათესილი ჰქონდა 150 დეს. ხორბალი. გაზაფხულზე დათესავენ 100 დეს. სიმინდს, 15 დეს. ქარხალს და 50 დეს. ქერს. კოლექტივს განზრახული აქვს აგრეთვე 5 დ. ბაღის გაშენება. ოსიაურის ბაქტერიოლოგიურმა სადგურმა მიმდინარე წელს კოლექტივს აჩუქა 4 სული ჯიშიანი ღორი. ხაშურის რაიონის პარტკომი დიდ დახმარებას უწევს კოლექტივს.





ზამთარი საქართველოში

ფოტო-კოზაკის.

# წყაროს წყალი თბილისს



# ჩვენი ჩაის მრეწველობა

ნ. ლ-ძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში ჩაის კულტურის გავრცელების პირველი ცდები ეკუთვნის მეცხრამეტე საუკუნის ორმოციან წლებს, როდესაც ჩაის ბუჩქი დარგეს სოხუმის ბოტანიკურ ბაღში და ოზურგეთის სანერგეში. მალე ოზურგეთის სანერგედან ჩაი გადატანილ იქნა ზუგდიდში — დადიანის მამულში და გორია-ბეროეთ-ში (ჩოხატაურის ახლო)—ერისთავის მამულში. ამ ცდებმა დადებითი შედეგები მოიტანა: ჩაის ბუჩქმა კარგათ იხარა; ერისთავის მამულში ჩაის და-



თათბირი ჩაის მრეწველობის საკითხებზე (15—18 იანვარი). სხდომა სახახლის წითელ დარბაზში.



ხალიბაურის (ბათომის ახლო) ჩაის პლანტაციები.

ზადებაც ი სცადეს. ამ პირველმა ცდებმა საკმაოდ დაამტკიცა, რომ ჩაის ბუჩქის ზრდა-განვითარებისათვის ჩვენში არსებობს სათანადო ბუნებრივი პირობები, მაგრამ ამას არავითარი პრაქტიკული ღონისძიებანი არ მოჰყოლია. ამის შემდეგ განვლო დიდმა დრომ, სანამ მივიწყებული ჩაის ბუჩქის განვითარების საქმე არ დაისვა პრაქტიკულ ნიადაგზე. ეს მოხდა 188ა წელს, როდესაც სოფ. ჩაქვში სოლოვცოვმა გააშენა პატარა ჩაის პლანტაცია ჩინეთიდან გამოწერილ თესლით და ნერგის საშუალებით. როდესაც სოლოვცოვის ცდებმა კარგი შედეგები გამოიღო, მას გაუჩნდენ წამბაძველები და მალე მისგან ჩაის კულტურა გადაიღო და ფართე ხასიათი მისცა მაშინდელმა ჩაის ვაჭარმა პოპოვმა, რომელმაც სპეციალური ექსპედიციაც კი გაგზავნა ჩინეთში, იაპონიაში, ინდოეთში, დაახლოვებით 115 ჰექტარი ჩაის პლანტაცია გააშენა და 1897 წ. ააგო ჩაის პირველი ფაბრიკა.

პოპოვის მაგალითს მიჰყვა მაშინდელი სამეფო-ლისწულო მამულების უწყება, რომელიც 1895 წ. შეუდგა ჩაქვში დიდ სუბტროპიკულ მამულის შენებას და ამავე დროს პროფ. კრასნოვის ხელმძღვანელობით გაგზავნა ექსპედიცია საზღვარგარეთ ჩაის საქმის შესასწავლად.

ჩაქვში პლანტაციების გაშენება უმთავრესად ჩინეთიდან შემოტანილ ჩაის თესლის სხვადასხვა ჯიშების საშუალებით სწარმოებდა, როგორიცაა: იან-ლოუდუნი და ნინ-ჯოუ; ნაწილობრივად კი გამოყენებული იყო ინდოეთიდან ჩამოტანილი კიმგრა და ცეილონის ჯიშები და ასამია ჰიბრიდები.

ამის შემდეგ ჩ ის პლანტაციების გაშენებას ბათომის და ჩაქვის რაიონებში ხელი მიჰყეს მთელ რიგ წვრილ და მსხვილ კაპიტალისტებმა და მალე ჩაის კულტურამ აჭარისტანში საპატიო ადგილი დაიჭირა. ამავე დროს მან მოიპოვა ადგილი გლეხურ მეურნეობაშიც, განსაკუთრებით აჭყვაში და დაგვაში.

ჩაის კულტურის განვითარება იმ თავითვე მსხვილ და წვრილ კაპიტალისტურ მამულების ფარგლებში მოექცა, გლეხობისათვის კი ის დიდ ხანს მიუწვდომელი იყო და ამავე დროს არავინ არ სცდილობდა, რომ გლეხის მეურნეობაში ჩაის კულტურა გავრცელებულიყო.

მიუხედავათ ამისა გურიის ზოგიერთ სოფლებში ჩაის კულტურა საკმაოდ გავრცელდა, ყოველგვარ აგრონომიულ ხელმძღვანელობის და დახმარების გარეშე. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ბევრ გურულ გლეხს უცდებოდა ჩაქვის მამულში მუშაობა, სადაც ისინი ეცნობოდენ ჩაის კულტურას და შემდეგ გადმოჰქონდათ ის თავიანთ სოფლებში. ასე გავრცელდა ჩაი სოფ. აცანაში, მიქელ-გაბრიელში, ხვარბეთში, საილეთოში და სხვაგან. 1925 წლამდე, ე. ი. სააქციო საზ. „საქართველოს ჩაის“-ს დაარსებამდე, გურიაში არსებული ჩაის ფართობი უდრიდა 284 ჰექტარს.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ჩაის განვითარების საქმეში დიდი ცვლილებანი მოხდა. მთავ-



ჩაის კრეფა ჩაქვის საბ. მამულში.

რობამ ეს კულტურა აღიარა მეტად ძვირფას ტეხნიკურ კულტურად, რომლის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა.

ჩ.-ის კულტურის განვითარება ორნაირ ინტერესს წარმოადგენს: ერთი ის, რომ ეს კულტურა არის მეტად შემოსავლიანი, რომლის საშუალებით ჩვენი გაძვალტყავებული სოფლის მეურნეობა რასოდენიმეთ გაიმაგრებს წელს, აიწევს გლეხური მეურნეობის ეკონომიური სიძლიერის დონე, შესუსტდება აგრარული მოსახლეობის სიჭარბე. მეორეს მხრივ—ჩაის კულტურის განვითარებით საბჭოთა სახელმწიფოს საშუალება ეძლევა თანდათანობით საზღვარ-გარეთიდან შემოტანილი ჩაის ნაცვლად ბაზრის მოთხოვნილება დააკმაყოფილოს ადგილობრივი ჩაის საშუალებით, რით-ც შემცირდება აღარებული ოქროს ყოველწლიური გატანა საზღვარგარეთ ჩაის შესასყიდათ.

ომამდე რუსეთში ყოველწლიურად შემოჰქონდათ საზღვარგარეთიდან 174152 ათასი გირვანქა ჩაი, რაზედაც იხარჯებოდა, დაახლოებით, 57,5 მილიონი მანეთი (ოქროთი). ეხლა კი, როდესაც ომამდე არსებულ დონესთან შედარებით ძლიერ შემცირდა ჩაის მოხმარება, მაინც საჭიროა ყოველწლიურად 20 მილიონი ოქროს მანეთზე მეტის გატანა საზღვარ-გარეთ ჩაის შესაძენათ. როდესაც ჩაის მოხმარების რაოდენობა ომამდე არსებულ დონემდე აიწევს, მაშინ ეს ციფრი 3 ჯერ კიდევ გაიზრდება.

აქედან თავის თავად ცხადია, თუ რა დიდი სახელმწიფოებრივი და სახალხო-ეკონომიური მნიშვნელობა ეძლევა ჩაის განვითარების საქმეს.

მთავრობის მიერ შედგენილია მტკიცე პერსპექტიული გეგმა, რომლის მიხედვით 5 წლის განმავლობაში, ე. ი. 1932 წლამდე აჭ რესპუბლიკაში, გურიაში, სამეგრელოში და აფხაზეთში ჩაის ფართობი უნდა აყვანილ იქნას 20.000 ჰექტარამდე.

ამ დიადი ამოცანის შესრულება დაკისრებული აქვს სააქციო საზოგადოებას—„საქართველოს ჩაი“-ს, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს ჩ.-ის განვითარების საქმეს. ამ მიზნის მისაღწევათ სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი“ აღჭურვილია სათანადო საშუალებითაც: თანხები, მამულები, საცდელი სადგურები, საქმის მცოდნე სპეციალისტები და სხვა.

სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი“-ს დაარსების შემდეგ ჩაის განვითარების საქმე არაჩვეულებრივი ტემპით სწარმოებს. აღსანიშნავია ის, რომ ეს ტემპი ყოველწლიურად იზრდება. მაგალითად: 1926 წ. გაშენებული იყო სულ 27 ჰექტარი, 1927 წ.—574 ჰექტარი, 1928 წელს—2058,81 ჰექტარი, ხოლო 1929 წელს კი განზრახულია—2733 ჰექტარის გაშენება.

ჩაის მრეწველობის განვითარების პერსპექტიული გეგმით კი განზრახულია ჩაის პლანტაციების სივრცე აყვანილ იქნეს 40.000 ჰექტარამდე. არ უნდა დავივიწყოთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტში ჩაის პლანტაციების სივრცე მთელ საქართველოში 1100—1200 ჰექტარს არ აღემატებოდა.

პლანტაციების სივრცის ზრდასთან ერთად გაიზრდება, რასაკვირველია, მოკრეფილი ჩაის ფოთლის რაოდენობაც, ასე მაგალითად 1930 წ. განზრახულია 1831 ათასი კილოგრ. ჩაის ფოთლის აკრეფა, 1934 წ.—20.595.000 კილოგრ., 1940 წ.—89.200.000 კილოგრ.

განზრახულია ჩაის ფაბრიკების მშენებლობის განვითარება იმგვარად, რომ შესაძლე ელი შეიქნეს მოკრეფილი ჩაის ფოთლის მთელი რაოდენობის ადგილობრივ გადამუშავება. ამ მიზნით ჩაის ფაბრიკების რიცხვი აყვანილი იქნება 48-დე.

ასეთია საქართველოს ჩაის მრეწველობის განვითარების პერსპექტივები.

ნ. ლ—ძე.

# პრობკის ხის ტყე სოფ. ბანოჯაში



ამ 35 წლის წინად სოფ. ბანოჯას მახლობლად (ქუთაისიდან 5 კილომეტრის დაშორებით) დაიწყო პრობკის ხის—ე. წ. „პრობკის მუხის“ ტყის მოშენება. სოფ. ბანოჯის მიდამოებში ნიადაგი ისეთია, რომ მოსავალი კარგი არ მოდის, მაგრამ ამ ნიადაგზე შესანიშნავად ხარობს პრობკის ხე.

ამჟამად პრობკის ხის ტყე გამოცხადებულია სახელმწიფო საკუთრებათ და იგი გადასულია მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში. პრობკის ხის ტყის სივრცე ამჟამად აღწევს 2 დესეტინამდე. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის სატყეო განყოფილებას გადაწყვეტილი აქვს პრობკის ხის ტყე გააშენოს რესპუბლიკის სხვა ადგილებშიაც.

გასული წლის ზაფხულზე ხსენებული ტყის დასათვალიერებლად და პრობკის ხის კულტურასთან გასაცნობათ მოსკოვიდან სპეციალურად ჩამოვიდა გამოჩენილი პროფ. კერნი.

# ზედა-გეგუთის (ქუთაისის მაზრა) სასოფლო-სამეურნეო არტელი



ზედა-გეგუთის სახ.-სამ. არტელის წევრები

ზედა-გეგუთის სასოფლო-სამეურნეო არტელი ფაქტიურად დაარსდა 1927 წ., ხოლო მისი წესდება დამტკიცებულ იქნა წარსული წლის დეკემბერში.

არტელი აერთიანებს 18 წევრს (91 სულს), რომელთაგან 14 ღარიბი და 4 საშუალო შეძლების გლეხია.

არტელის განკარგულებაში 59 ქცევა სახნავ-სათესი მიწაა, 6 ქცევა ბაღი და ვენახი და 22 სული მუშა-საქონელი.

# „მშვიდობიანობის მოციქულები“

ე. მ—ძე.

როცა შარშან ბრიანმა და ჩემბერლენმა ნობელის პრემია მიიღეს თავიანთი „დაუღალავი მუშაობისათვის მშვიდობიანობის დასაცავად“, ალბად ორთავემ მეფისტოფელივით გადიხარხარა.

ამა ვინ დაიჯერებს, რომ ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური წყობილების ეს ორი ერთგული მსახური, ყოველგვარ ინტრიგებისა და სამხედრო კავშირების სულის ჩამდგმელნი, რომლებიც გაფაციცებით აიარაღებენ პოლონეთს, რუმინეთს, ბალტიის სახელმწიფოებს, მშვიდობიანობას ემსახურებიან.

მშვიდობიანობის ჯილდოს მიცემამ ომის ამ ორი მოციქულისათვის ერთხელ კიდევ დაუმტკიცა საერთაშორისო მუშათა კლასს, რომ სიტყვები — ზავი და მშვიდობიანობა — ბურჟუაზიის პირში მხოლოდ ცარიელი ლაყბობა, თვალთმაქცობა, ფარისევლობაა და უტიფარი არაფერი.

და კიდევ უფრო დაარწმუნებენ ამაში ისინი, ვინც იცნობს ამ ჯილდოს დაარსების ისტორიას და მისი დამაარსებლის ალფრედ ნობელის ცხოვრებას.

ნობელის გვარი ჯერ არ გაუქრობია საქართველოში, ამჟამად დღეს ნობელის ფირმის ნავთსაცავები ბაქოში, ბათუმში, სანამ ოქტომბრის რევოლუციის ტალღები ამიერ-კავკასიაშიც არ შემოიჭრა, ახლა ათეულ ათას ფუთ ნავთის ჩამტევ ნავთსაცავებს ნობელის ფირმის მაგიერ ამშვენებს წარწერა „СССР. Нефтесиндикат“.

და აი ამ ნავთის მეფეს, ლუდვიგ ნობელს ჰყავდა ძმა — ალფრედი, რომელიც თამამად შეიძლება ჩაითვალოს თანამედროვე საომარ საშუალებათა, განსაკუთრებით ასაფეთქებელ მასალების მამამთავრად.

ალფრედ ნობელი სტოკჰოლმში დაიბადა 1833 წლის ოქტომბრის 21. მისი მამა ემმანუელ ნობელი გამოჩენილი შვედიელი ინჟინერი იყო. ჩქარა ალფრედის დაბადების შემდეგ, მამა პეტერბურგში გაემგზავრა, რათა იქ რუსეთის მთავრობისთვის იარაღის ფაბრიკა დაეარსებინა. ამ რიგათ ალფრედ ნობელმა ბავშვობა და ახალგაზრდობის ერთი ნაწილი რუსეთში გაატარა. შემდეგ 17 წლისა ამერიკაში წავიდა, რათა იქ საინჟინერო კურსი გაევლო. რუსეთში დაბრუნდა ყირიმის კამპანიის დროს, როცა მისი მამის ფაბრიკა დიდათ მომგებიანი გახდა.

ომის შემდეგ ალფრედ ნობელი შვეციაში დაბრუნდა და ასაფეთქებელი მასალის პრობლემის შესწავლას შეუდგა. 1861 წელს მან „ფეთქებადი ნიტროგლიცერინის“ (რომელიც სახიფათო არ არის იმისთვის, ვისაც ხელში უჭირავს) პატენტი აიღო. რამდენიმე კვირის შემდეგ საშინელმა აფეთქებამ გაანადგურა მისი ფაბრიკა. დაიღუპა მრავალი მუშა და ნობელის საკუთარი ძმა. საზოგადოებრივი აზრი აღშფოთებული იყო მის წინააღმდეგ. შვეციის მთავრობამ აუკრძალა ნობელს ხელახლა ფაბრიკა აეშენებინა სტოკჰოლმის მახლობლად. მით უმეტეს პროვინციას გაგონებაც არ უნდოდა მის შესახებ. რადგან ალფრედ ნობელმა მიწა ვერსად ვერ იშოვა, მან თავისი ლაბორატორია ორთქლმავალ გემზე მოათავსა, მელარის ტბაზე. 1867 წელს მისი ექსპერიმენტები დამთავრდა დინამიტის გამოგონებით. ამ გამოგონების პრაქტიკული ინტერესი უზარმაზარი იყო. ნობელმა ბოლოს ნებართვა მიიღო ქარხანა აეშენებია.

მაგრამ ჩქარა სისხლიანი კატასტროფების სერიამ გამომგონებლის წინააღმდეგ მთელი დედამიწის საზოგადოებრივი აზრი ააჯანყა. ერთი გერმანელი, ახალი ასაფეთქებელი მასალის ყუთით ერთის სასტუმროში ჩამოხტა ნიუიორკში. ყუთი აფეთქდა და სამი სახლი დაანგრია. შემდეგ დინამიტის რამდენიმე კასრი აფეთქდა გემზე პანამის მახლობლად; ორმოცდაშვიდი კაცი დაიღუპა. რამდენიმე დღის შემდეგ კიდევ ახალი კატასტროფა მოხდა: დინამიტმა 14 კაცი შეიწირა სან-ფრანცისკოში. დინამიტის პირველი ფაბრიკა, რომელიც გერმანიაში დაარსდა, ჩქარა აფეთქდა...

კლიენტებმა პირი უბრუნეს ნობელს. გემები უარს ამბობდნენ საქონლის გადაზიდვაზე: როცა თვით ნობელი ამერიკას ესტუმრა, რათა თავისი საქმეები მოეგვარებია, ბევრი იწვალა, სანამ ისეთ სასტუმროს იპოვიდა, რომელიც მას ღამის გასათევს მისცემდა.

ამისდამიუხედავათ ნობელმა თანდათან სძლია ყველა დაბრკოლება, გააუმჯობესა თავისი გამოგონება, მოაწყო მრავალი ფაბრიკა და ბოლოს ისინი ტრესტში გააერთიანა. შემდეგ მან კიდევ უფრო მძლავრი ასაფეთქებლები გამოიგონა: ბალისტიტი და კორდიტი, ხოლო 1890 წელს ნობელმა გამოიგონა უკვამლო თოფის წამალი, რომლის პატენტი გერმანიას მიჰყიდა.

* * *

ასეთია ბიოგრაფია ალფრედ ნობელის, მშვიდობიანობის პრემიის დამაარსებლის.



ა. ნობელი

დინამიტი და მშვიდობიანობა!

დინამიტის გამომგონებელი და მწარმოებელი მშვიდობიანობის მქადაგებლის როლში!

განა შეიძლება წარმოიდგინოთ ადამიანმა მშვიდობიანობის საქმის აბუჩად აგდების უკეთესი მაგალითი!

ბურჟუაზია ცდილობს შეარიგოს ეს ორი შეურიგებელი მეზობელი რაღაც დემონიურობის და რომანტიული თვისებების აღმოჩენით ალფრედ ნობელის ხასიათში, კერძოდ მიუთითებენ მის უიმედო სიყვარულზე ვიღაც ქალისადმი, რომლის ტრფობის ალი სამარემდის მიჰყვა ნობელს და სამუდამოთ ხელი აალებინა ცოლის შერთვის განზრახვაზე.

დავიჯეროთ, რომ ეს ფაქტია.

მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ალფრედ ნობელს მთელ თავისი სიცოცხლის განმავლობაში ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია მუშაობა ასაფეთქებელ ნივთიერებათა გაუმჯობესებაზე და მათი დამზადების გაფართოებაზე.

62 მილიონი ოქროს ფრანკი დარჩა ნობელს ფულად სიკვდილის შემდეგ. მთელი ეს თანხა დინამიტით და სხვა ასაფეთქებელ მასალებით ვაჭრობით იყო შეძენილი.

ომის გამჩაღებლებს ყველაზე უფრო უყვართ ლაპარაკი მშვიდობიანობაზე.

გამონაკლისს არც ალფრედ ნობელი შეადგენდა.

— „ისეთი ასაფეთქებელი მასალა უნდა გამოვიგონო, რომელიც შეუძლებელს გახდის ომსო“ — ამბობდა ნობელი.

დღევანდელი იმპერიალისტებიც ასე ასაბუთებენ შეიარაღების საჭიროებას: რამდენადაც უფრო ფართედ შევიარაღდებით, მით უფრო ნაკლები იქნება ომის საფრთხეო.

ნიშანდობლივი მსგავსებაა ალფრედ ნობელისა და ამ უკანასკნელ არგუმენტაციას შორის. ალფრედ ნობელს „მშვიდობიანობა“ დინამიტით დატენილ ბოჭკაზე ჰყავდა წამოსკუპებული.

დღევანდელ იმპერიალისტებს მისთვის საბჯენათ აქვთ ზარბაზნების ლულა და ხიშტები.

მშვიდობიანობის საქმე „საიმედო“ ხელშია. ნობელის პრემიით წახალისებული ბრიან-ჩემბერლენი შეეცდებიან არ უღალატონ ნობელის ნატვრას — ისე განავითარებენ შეიარაღებას, რომ ომი აუცილებელი შეიქნეს.

ე. მ — ძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წვევამდე მზადება ხარაგოულში



ხარაგოულის სამხ. სამოსწავლო წერტის წვევამდელები.

საქართველოს მშრომელ ახალგაზრდობას კარგათ აქვს შეგნებული საბჭოთა კავშირის თავდაცვის გაძლიერების მთელი მნიშვნელობა. ამიტომ არის, რომ ყველგან, საქართველოს მთელს ტერიტორიაზე წვევამდე მზადება დიდის წარმატებით მიმდინარეობს. მეცადინეობისათვის თავის არიდება იშვიათ გამონაკლისს შეადგენს.

ხარაგოულის რაიონის მუშა და გლეხი ახალგაზრდობა, დაბადებული 1907 წ. მთელი ასი პროცენტით გამოცხადდა წვევამდე მზადებაზე, რომელიც წარსული წლის 10 დეკემბერს დაიწყო და ენერგიულად და ხალისით შეუდგა მეცადინეობას.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ ადგილობრივი სამოქალაქო და საბჭოთა პარტიული ორგანიზაციები (სამოძზმ. საზოგადოება, საექიმო პუნქტი, ალმასკომი და პარტიული ორგანიზაცია) ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს წვევამდელებს, რომ მათ ნორმალური პირობები ჰქონოდათ სამხედრო ცოდნის შესაძენათ.

წვევამდელებს შორის, გარდა სამხედრო მუშაობისა, სწარმოებდა დიდი პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობა, რომლის წარმატებას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ არც ერთი წვევამდელი არ იყო ისეთი, რომ დაბალი სასწავლებელი არ ჰქონოდა დამთავრებული.

ხარაგოულის წვევამდელთა წერტის მეთაური ვ. კიკაჩეიშვილი.

# დაუღალავი მოგზაური

**ლევ. მეტრეველი**

საგანგებოთ ბნელა. მსუბუქი წვიმა არ ეშვება თელავის მოწყენილ ღამეს. პანაიტ ისტრატიმ თავისიანები გაისტუმრა სასტუმროში.

გზაში, სიბნელეში რამდენ იშვიათ საგანძურს აბნევს ეს ადამიანი, და ამ სიმდიდრის დაბნევით ვრწმუნდები, თუ რა დიდი სილარიბის მოწმობა მიუღია იმას წარსულში.

— მე არ შემიძლია ვსწერო ერთი და ნამდვილათ ვიყო მეორე. უნდა ვსწერდე ისეთი სიმართლით, ისეთი სინამდვილით და სილამაზით, რომ ჩემი სული უნდა მღეროდეს.

* * *

ჩვენ უკვე წინანდალში ვართ. იქიდან ვაპირებთ თბილისში დაბრუნებას.

დავათვალიერეთ ბაღი, სასახლე საწყობები.

სამახსოვრო წიგნში სთხოვენ ჩაიწეროს პანაიტ ისტრატიც.

მატარებლის დრო მოახლოვდა. უცებ პანაიტმა შეიცვალა აზრი:

— მე და შენ დავრჩეთ! სხვები კი გავისტუმროთ თბილისში. ჩვენ წავიდეთ თელავში.

აგრეც მოვიქეცით. მაგრამ გასტუმრებულ ამხანაგებსაც დაჰგვიანებოდათ და ჩვენთან ერთად ბრუნდებიან უკან ისევ თელავში.

* * *

ვუცქერით ქვეყანას: გომბორს, კავკასიონს, ალაზნის ველებს და თან...

ექვსი-შვიდი წიგნი აქვს პანაიტს დაწერილი. მაგრამ რა ცოტა გადმოუწერია თავის ცხოვრების წიგნიდან! ნამდვილი და უტყუარი წიგნი — ეს თვითონ არის. დიდი, დაუსრულებელი წიგნი, რომელსაც კითხულობ და არა გბეზრდება.

— სულ ხუთი წელიწადია, რაც მწერალი ვარ. ერთ ხუთ წელიწადს კიდევ ვიქნები და შემდეგ ალბათ დავუბრუნდები იმას, რაც ვიყავ წინეთ. და როცა მივალ ვისმესთან სამუშაოს სათხოვნელად, მე არასდროს არ ვეტყვი, რომ ესა და ეს ვიყავი ოდესღაც და ამიტომ... ჩემი მოწმობა — ჩემი მუშაობის უნარიანობა იქნება მხოლოდ.

რამდენი მინახავს: მხოლოდ აფიშაში თავის სახელის გამოცხადებით როგორ ითრობა. პანაიტს კი საგანგებოდ მოხვეჭილი სახელი მიაჩნია თავისი მოგზაურობის ერთ-ერთ შემთხვევათ, რომლითაც არა ღირს არც სიამაყე, არ თავგამოდება.

თავმდაბლობა ხომ ყველას არ ეხერხება! ეს არის განუყოფელი საუნჯე დიდბუნებოვანი ადამიანის.

— ოო, მე ბევრი ხალხი მინახავს, ვისაც ერთხელაც არ გაჰკვირებია — თუ რატომ ანათებს მზე, მაგრამ ყოველდღე კი უკვირს თავისი ახალი ფეხსაცმელი. ასეთი ხალხით ცხოვრება არ გამდიდრდება.

ვაკვირდები მართლა: მინდა შევამჩნიო მცირეოდენი გაკვირვება თავისი ბედით: უჩინარ კაციდან იგი შეიქმნა რჩეულ ადამიანად. უფსკრულიდან — იგი ამოვიდა ცხოვრების სადღესასწაულო გზაზე.

ვეკითხები: სადა აქვს მუდმივი ბინა.

— მე არა მაქვს მუდმივი ბინა. მე ერთი ოთახიც არა მაქვს არსად. ჩემი ბინა ქვეყანაა. მე არა მაქვს საშუალება ვისმეს მივსცე ჩემი მისამართი, რადგან არა მაქვს იგი. ყოველ შემთხვევაში კი შეიძლება კითხვა მოსკოვში, სახელგამში. ამაზე მეტი საიმედო და სავარაუდო მიმართვა მე არ მომეპოვება.

ვეკითხები: ხომ არა აქვს საფრანგეთშიც ბინა?

— არა! ჩემი წიგნები და რალაცები ამხანაგთანა ჰყრია. ეხლა არა მგონია უარი მითხრან საფრანგეთში დაბრუნებაზე, მაგრამ ეგები მეორე დღესავე გამაძევონ იქიდან. ეგრევე მომექცნენ შარშან საბერძნეთში. მიმიღეს დიდებულათ: ბანკეტები, მინისტრები, პატივისცემა. შემდეგ საკმარისი იყო კრებაზე მეთქვა საბჭოთა კავშირის მოსარჩლე სიტყვა და ყველაფერი შეიცვალა. მეორე დღესვე გამოცხადდნენ და მეუბნებიან: გაფასებთ, პატივს გცემთ, მაგრამ უხერხულია თქვენი საბერძნეთში დარჩენა და სჯობია ხვალვე მიატოვოთ აქაურობა. მე არც ერთი ქვეყნიდან არა ვარ დაზღვეული, რომ აგრევე არ მომექცევიან.

* * *

ნარგილე და ოსმალური ყავა!

რა ხშირად ახსენებს. ეხლა კი ვხედავ, რომ მისი წიგნები — ნაწილია მის ცხოვრებისა.

ნარგილე არა გვაქვს. ყავა კი წინ გვიდგია.

ეს არის საბაბი უკანასკნელი შეხვედრისა.

მე არ ვიცი რომელი სინანული უფრო ძლიერია: რატომ წინედაც არ შევხვდით, თუ ეგებ აღარასდროს არ შევხვდეთ ერთმანეთს?

კიდევ ვიბაასეთ ქართულ მწერლობაზე, ავზე, კარგზე.

თითქოს რომელღაც ნავთსადგურში ვიყვეთ და ჩქარა სხვადასხვა გემით მივემგზავრებით სხვადასხვა მხარეს.

— შევხვდებით კიდევ?

— ვინ იცის!

— მე ასე მგონია, რომ მოვკვდები სადღაც ქუჩაში — უცნობლად, უალაგოდ. მაგრამ... მანამ ცოცხალი ვართ, ვიაროთ! და ჩვენ სავალ გზაზე მუდამ გავაგებინოთ ქვეყანას, რომ შეგვიძლიან ადამიანობა, მეგობრობა, ბრძოლა და... სიკვდილიც! მშვიდობით!

მშვიდობით დაუღალავო მოგზაურო!

**ლევ. მეტრეველი.**

## ბოლშევიკური თვითკრიტიკის საფუძველზე

15 დან 23 იანვრამდე მიმდინარეობდა კომკავშირის თბილისის კონფერენცია.

— მეტი მუშაობაა საჭირო ღარიბ და მოჯამაგირე ახალგაზრდობაში, კომკავშირმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას;

— სასტიკი ბრძოლა წვრილ ბურჟუაზიულ გადმონაშთებთან კომკავშირელთა შორის, ორგანიზაციამ უნდა განდევნოს თავის რიგებიდან გახრწნილი და გადაგვარებული ელემენტები, რადგან ჩვენი მიზანი და მოვალეობაა ახალი ყოფაცხოვრების, ახალი ადამიანების შექმნა;

— შორის ყოველგვარი მერყეობა, არავითარი გადახვევა მე-15 პარტკონფერენციის მიერ დასახულ გენერალურ ხაზიდან, — ასეთი შინაარსით იყო გაჟღენთილი თვითეულ დელეგატის სიტყვა.



**სხდომის დარბაზში. — ამხ. დ. კანდელაკი მოხსენებას აკეთებს კონფერენციაზე.**

# თბილისის ზოოლოგიური ბაღი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე. მარკოვი

თბილისის ალმასკომის ყოფ. თავმჯდომარის ამხ. ლ. სუხიშვილის თაოსნობით ალმასკომმა 1927 წ. იანვარში საჭიროდ აღიარა თბილისში ზოოლოგიური ბაღის მოწყობა და ამ მიზნით მდ. ვერის ორივე ნაპირზე, ხეობაში, გამოჰყო 75 დესეტინა მიწა. ზოოლოგიუ-













1) ირემი „მარა", 2) მაიმუნების მომავალი ფერმა, 3) ზოოლოგიური ბაღის ერთ-ერთი ხეივანი, 4) მცირე-აზიიდან ჩამოყვანილი გარეული ცხვრები „ქნარა" და „ეროსი", 5) ირემი „ნანო" „ფატმა". 6) გარეული თხა

რი ბაღის ორგანიზაციის პროექტი და საორიენტაციო ხარჯთ-აღრიცხვა იმავე წლის სექტემბერში დაამტკიცა ალმასკომის პლენუმმა და კომუნალური მეურნეობა შეუდგა პრაქტიკულ მუშაობას ბაღის მოსაწყობად.

მნიშვნელობა ზოოლოგიური ბაღის, როგორც საჩვენებელი პედაგოგიური და სამეცნიერო დაწესებულების, განუზომელია. ახლა უკვე იშვიათად შეხვდებით ადამიანს, რომელიც ერთხელ მაინც ყოფილა ცირკსა და ზოოლოგიურ ბაღს, განსაკუთრებით დიდია ზოოლოგიური ბაღის მნიშვნელობა მომავალი თაობის აღზრდის საქმისათვის.

„ახალგაზრდობა ეჩვევა რა თვალყურის დევნებას ცხოვრებისათვის, თავის ყურადღებას აჩერებს ადამიანზეც და ამ გზით არკვევს თავისთვის ადამიანის პიროვნების მნიშვნელობას, რაც საერთო განათლების მთავარ მიზანს შეადგენს"-ასე ახასიათებდა ზოოლოგიური ბაღის მნიშვნელობას ცნობილი მეცნიერი ლესგაფტი.

ზოოლოგიური ბაღი იძლევა ყველასათვის მისაწვდომ ფორმებში საშუალებას მოსახლეობის ფართო ფენებმა გაეცნონ ცხოველთა ცხოვრებას შედარებით ბუნებრივ პირობებში, გაეცნონ ბუნებისმეტყველებას, თანამედროვე ადამიანის განათლების ამ მთავარ საფუძველს. თუ ამას კიდევ დაუმატებთ იმას, რომ ზოოლოგიური ბაღი თბილისს მისცემს ხეებით გაშენებულ 300.000 კვ. მეტრს, იმ დროს, როცა ქალაქის მთელ გაშენებულ ადგილების სივრცე 1.0 000 კვ. მეტრს არ აღემატება, თუ გავიხსენებთ აგრეთვე იმას, რომ, როგორც პროფ. კოქევნიკოვი ამბობს, ბუნებისმეტყველების შესწავლა უმაღლეს სასწავლებლებში შეუძლებელია ზოოლოგიური ბაღების გარეშე, რადგან ზოოტექნიკის, აკლიმატიზაციის, ბეწვიან და სხ. ცხოველთა მომრავლების მთელი რიგი პრაქტიკული საკითხები მხოლოდ ზოოლოგიურ ბაღებში პოულობენ გადაწყვეტას, — ცხადი შეიქნება გრანდიოზული მნიშვნელობა იმ კულტურული საქმის, რომელიც თბილისის ალმასკომმა დაიწყო.

თუ რა დიდი ყურადღება ექცევა ზოოლოგიური ბაღების მშენებლობას საერთოდ საბჭოთა კავშირში, ამას ამტკიცებს თუ გინდ ის ფაქტი, რომ რევოლუციამდე მეფის რუსეთის ტერიტორიაზე არსებობდა მხოლოდ სამი ზოოლოგიური ბაღი, ახლა კი არსებობს 12. თუ ამ ციფრს მივუმატებთ თბილისის ზოოლოგიურ ბაღს და ბაქოს ზოოლოგიურ ბაღს (რომლის მოწყობა განზრახული აქვს ბაქოს საბჭოს), გამოვა რომ საბჭოთა კავშირს მოკლე ხანში ექნება 14 ზოოლოგიური ბაღი, ნაცვლად რევოლუციამდე არსებულ სამი ბაღისა.

თბილისის ზოოლოგიურ ბაღში სააღმშენებლო მუშაობა დაიწყო მხოლოდ წარსული წლის მაისიდან და გაგრძელდა დეკემბრის დადგომამდე. შესრულებული სამუშაოები შესაძლებლად ხდის ამიერკავკასიის ფაუნის ყველაზე საინტერესო ცხოველების შეკრების დაწყებას. ამ მხრივ თბილისის ზოოლოგიურ ბაღს ამიერკავკასიის მონადირეთა კავშირების დახმარების იმედი აქვს და დარწმუნებულია, რომ შესძლებს კავკასიის ცხოველების ღირსეული კოლექციის შეკრებას. თუ მშენებლობის განზრახული გეგმა სისწორით შესრულდა, მაშინ არა უგვიანეს მიმდინარე წლის მაისისა ზოოპარკში უკვე თავმოყრილი იქნება საინტერესო ცხოველების ერთი ნაწილი და პარკის ნაწილი გახსნილი აქნება სასეირნოთ.

ზოოპარკის ორგანიზატ. **ე. მარკოვი.**

# 1832 წლის შეთქმულების ახალი მასალები

გ. გოზალიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური არქივი საქართველოს მე-19 საუკუნის მდიდარი საისტორიო მასალის შემცველია. ამ მასალის აღრიცხვა და დამუშავება დიდათ შეუწყობს ხელს საქართველოს ახლო წარსული სხვადასხვა მომენტების გაშუქებას. ერთი ასეთ მომენტთაგანია 1832 წლის შეთქმულების მასალები. 1921 წელს დაიღუპა ამიერ-კავკასიის ცალკე კორპუსის მთავარი შტაბის არქივი, რომლის შემადგენელ ნაწილსაც წარმოადგენდა 1832 წლის შეთქმულების საქმეები. საქმეების ნაწილი გადარჩა დაღუპვას იმიტომ, რომ ამ დროს ისინი სამხედრო-საისტორიო კომისიაში იყო გადატანილი. ეს საქმეები შემდეგში ცენტრალურ არქივს გადაეცა.

1926 წელს ხსენებულ საქმეებზე მუშაობის დროს გამორკვეული იქნა, რომ შეთქმულების აქტუალური მნიშვნელობის მასალები, სახელდობრ საგამომძიებლო კომისიის მიერ ჩამორთმეული დაკითხვები და სხვა წერილობითი საბუთები, თავის დროზე გადაგზავნილი იყო ქ. პეტერბურგში მეფისათვის მოსახსენებლად—სამხედრო-სასამართლოს განაჩენისა და კავკასიის მთავარმართებლის ბარონ **როზენის** დასკვნით. საქმეები თბილისში მყოფ შეთქმულთა შესახებ შეიცავენ უმთავრესად მიმოწერას სხვადასხვა დაწესებულებათა შორის შეთქმულების გამო და თუმცა შეთქმულთა ჩვენებებიდან ამონაწერებიც არის მოყვანილი, მაგრამ შეთქმულების შესასწავლად ეს მასალები არ კმაროდა, რის გამო ლენინგრადის მთავარ საისტორიო არქივიდან გამოთხოვილი იქნა ხსენებული მასალები, რომლებიც ცენტრარქივმა 1927 წელს მიიღო.

შეთქმულების იდეა პირველად ქალაქ პეტერბურგში ჩასახულა იმ ქართველთა შორის, რომელთაც ევროპიული განათლება მიიღეს და იქ გავრცელებულ ახალ განმანთავისუფლებელ იდეებს გაეცნენ. აქ 1925-იან წლებში დიმიტრი ბატონიშვილის (რომელიც იყო ერეკლეს ძის იულონის შვილი) ირგვლივ მისვე ბინაზე მათ შეუქმნიათ წრე, სადაც სისტემატიურად იკრიბებოდნენ და იმართებოდა მსჯელობა თავისუფლებაზე, სახელმწიფოებრივ მართველობის სისტემაზე, გლეხთა და ბატონთა ურთიერთ დამოკიდებულებაზე, ეროვნულ თავისუფლებაზე და სხვა. პირველად ამ წრეში გადაწყვეტილია საქართველოში აჯანყების მოწყობა. ამ წრეს თანდათან ემატებოდნენ მონაწილენი და მათ მალე საქართველოშიც გადმოუტანიათ ეს იდეა.. 1828—29 წლიდან ეს ამბავი საქართველოში უკვე იციან რუსეთიდან ჩამოსულ ამ წრის წევრების საშუალებით: აქაც არის ასეთივე წრეები შექმნილი, ხოლო 1830 წლის დასაწყისში კი ხდება ყველა წრეების გაერთიანება ერთ მთლიან ორგანიზაციაში.

ამ საქმეს მეთაურობენ ის პირნი, რომელთაც რუსეთში მიიღეს განათლება; მასში ჩაბმულნი არიან ყველა იმდროინდელი საზოგადო მოღვაწენი, როგორიც არიან: მასწავლებელი **სოლომონ დოდაშვილი**,—უმაღლესი ცოდნით, ქართული ენის გრამატიკის, ლოღიკის (რუსულ ენაზე) და სხვა თხზულებათა ავტორი; **სოლომონ რაზმაძე**,—მანაც რუსეთში მიიღო განათლება; იგივე „დათვი და ცხვარი“-ს და სხვა ლექსების ავტორი; „Фарис“-ის მთარგმნელი; **გრიგოლ ორბე-**



აჭარელი ქალი—კულტურული რევოლიუციის გზაზე

აჭარელ ქალთა საზეიმო კრება ჩადრის ახდის გამო დაბა აჭარის-წყალზე

სურათის მარჯვენა კუთხეში (ზევით)—აჭარელი ქალი ლაზ-ოღლი, რომელმაც საჯაროთ აიხადა ჩადრი. მარცხნივ—ჩადრახდილი აჭარელი ქალის ტიპი.

**ლიანი**,—რუსეთშივე ნასწავლი, რომელმაც შეთქმულებასთან დაკავშირებით თარგმნა „Исповедь Наливайко" და შეთხზა სხვადასხვა ლექსები; **ალექსანდრე ჭავჭავაძე**,—პოეტი იმდროინდელ საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე და თვალსაჩინო ფიგურა; **გიორგი დავითის ძე ერისთავი**,—შემდეგში ცნობილი დრამატურგი; **დიმიტრი ყიფიანი**—ახალგაზრდა მასწავლებელი, შემდეგი დროის თვალსაჩინო მოღვაწე; **ალექსანდრე ორბელიანი**,—ისტორიული შინაარსის წერილების ავტორი და სხვანი მრავალნი.

მაგრამ მხოლოდ ქართველებისაგან არ შესდგებოდა ეს ორგანიზაცია. ცალკ-ცალკე წრეების საშუალებით ორგანიზაციაში შედიოდენ სომხები (**ავთანდილოვი, ონიკოვი** და სხვა), რუსები (თბილისის პოლიცმეისტერი **მელნიკოვი**, დუშეთის ისპრავნიკი **პავშენკო, ფეოდოროვი** და სხვები), და ზოგიერთი უცხოელები, როგორც, მაგალითად: თბილისის გუბერნატორი **პეტრე ზავილეისკი** (პოლონელი), თბილისის საფრანგეთის საკონსულოს მდივანი **ლეტელიე**, ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი **მ. ბროსსე** და სხვები.

ორგანიზაცია აწარმოებდა ინტენსიურ მუშაობას აჯანყების მზადებისათვის საქართველოში, ადგილებზე ჰქმნიდა ქვეორგანიზაციებს, რომლებსაც თბილისის ცენტრს უკავშირებდა. აჯანყების მოსახდენათ, სხვათა შორის, მოსყიდული ჰყავდათ სამოსწავლო ბატალიონი და, 1831 წლის პოლონეთის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, საქართველოში გადმოსახლებული პოლონელები. საკმაოდ კარგათ ჰქონდათ დაყენებული საპროპაგანდო ნაწილი, რაც გარდა ცალკ-ცალკე წრეებში მეკავშირეობისა და ხანგამოშვებით კი ფართე კრებებზე ბაასისა და კამათისა და აგრეთვე ლიტერატურის არალეგალურად გავრცელებისა სოლომონ დოდაშვილის მიერ ქართული ჟურნალის გამოცემაში გამოიხატა. საპროპაგანდო მიზნითვე სოლომონ რაზმაძე სწერს იგავს „დათვი და ცხვარი", დოდაშვილის ჟურნალში კი ბეჭდავს ლექსს, რომელშიაც თავისუფლებას უმღერის. ამ მხრივ ყველაზე უფრო ნაყოფიერი არიან გრიგოლ ორბელიანი, გიორგი დავითის ძე ერისთავი და ფილადელფოს კიკნაძე, რომლის მოღვაწეობიდანაც განსაკუთრებით აღსანიშნავია შეთქმულების წესდების ანუ ფარული და განუწყვეტელი მეგობრობის, ეგრეთ წოდებული, „აქტი გონიური"-ს შედგენა და შეთქმულთა შორის მიმოწერისათვის საიდუმლო ანბანის შედგენა.

ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ საკმაოდ დაწვრილებით დამუშავებული გეგმის მიხედვით დანიშნული იყო უკვე აჯანყების სისრულეში მოყვანა, რასაც ხელი შეუშალა შეთქმულების წევრის **იასე ფალავანდიშვილის** ღალატმა, რომელმაც შეთქმულება გასცა, რასაც შეთქმულთა შეპყრობა და გასამართლება მოჰყვა და რომლის შედეგადაც შეთქმულების მონაწილენი რუსეთში იქნენ გადასახლებულნი, ზოგი სამუდამოდ, ზოგი სხვადასხვა ვადით.

1832 წლის შეთქმულების მნიშვნელობა სოციალ-პოლიტიკური ისტორიის თვალსაზრისით მეტად საინტერესოა; მაგრამ ამჟამად აქ ამაზედ გავრცელება ზედმეტია.

სასურველია, რომ რაც შეიძლება მალე გამოიცეს შეთქმულების მასალები, რათა მკვლევართ პირველადი წყაროების უშუალო განხილვით ამ დიდი მოვლენის სათანადოთ გაშუქების საშუალება მიეცეთ.

**გ. გოზალიშვილი.**

ცენტრარქივის თანამშრომელი.

# პარლამენტი-კინწისკვრით

სამხრეთ-სლავია—ახალი ავსტრო-უნგრეთია. რაღაც 250.000 კვ. კილომეტრის სივრცეზე თავმოყრილია ათზე მეტი ეროვნება: 4.030.000 სერბი, 4.500.000—ხორვატი და ბოსნიელი მუსლიმანი, 1.000.000—სლოვენი, 800.000—მაკედონელი, 500.000—ალბანელი, 400.000—მადიარი, 300.000—თურქი, 300.000—გერმანელი და 180.000—სხვა ეროვნებანი.

ძირითადი ეროვნება—სერბები—შეადგენს სახელმწიფოს მთელი მოსახლეობის მხოლოდ 33,5 პროცენტს. თავის თავად ცხადია, რომ ასეთ საგარეო ასპარეზზე. ამ ბრძოლის შედეგია, რომ სამხრეთ-სლავია სერიოზულ წინააღმდეგობას ვერ უწევს იტალიის გაძლიერებას ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე, სადაც იტალიის ბურჟუაზია პოზიციას პოზიციაზე იპყრობს. განსაკუთრებით დიდ უკმაყოფილებას იწვევდა სამხრეთ-სლავიის პარტიათა ბრძოლა ფრანგ იმპერიალისტებში, რომლებიც ოცნებობენ სამხრეთ-სლავიის ჩაბმაზე ანტი-საბჭოთა ფრონტში. მაგრამ სერბიის ბურჟუაზიას ანტი-საბჭოთა გეგმებზე საფიქრებლად სად ეცალა, როცა თავი იხრჩობოდა.

და აი, საფრანგეთის ელჩის უახლოესი მონაწილეობით სამხრეთ-სლავიის მმართველი წრეები პოულობენ „გამოსავალს" მდგომარეობიდან: სწყვეტენ ბოლო მოულოდნელ პარლამენტარულ ლაყბობას. სკუპშჩინა (პარლამენტი) გარეკეს, კონსტიტუცია გაუქმებულ იქნა და დამყარდა სამხედრო დიქტატურა.

ხორვატიის ბურჟუაზია პირველად დიდი კმაყოფილებით შეხვდა გადატრიალებას იმ იმედით, რომ ეს იქ-





ზევით—მეფის სასახლე ბელგრადში. მარჯვნივ—მეფე **ალექსანდრე კარაგიორგიევიჩი.**

მრავალი ეროვნებით დასახლებულ სახელმწიფოში სწარმოებს გააფთრებული ბრძოლა ძალაუფლებისათვის ცალკე ეროვნებათა ბურჟუაზიას შორის, განსაკუთრებით დიდ წინააღმდეგობას ხვდებოდა სერბიის ბურჟუაზიის დიდმპყრობელური პოლიტიკა ხორვატიის ბურჟუაზიის მხრივ. ეს ბრძოლა ათი წელია რაც გრძელდება და ხანგამოშვებით მეტად მწვავე ხასიათს იღებდა. საკმაოა გავიხსენოთ ხორვატების წარმომადგენლების სტეპან რადიჩის და სხვ. მოკვლა სერბიის ბურჟუაზიის წარმომადგენლების მიერ.

უკანასკნელ ხანებში ხორვატიის ბურჟუაზიას [illegible] ურთიერთობათა მოწესრიგების [illegible] მოაყენა სამხრეთ-სლავიის რეორგანიზაციის [illegible] საფუძვლებზე, რაც, რასაკვირველია, [illegible] ეწინააღმდეგება სერბეთის დიდმპყრობელურ პოლიტიკას.

ქვეყნის შიგნით გაჩაღებულმა ეროვნულმა ბრძოლამ დიდი ზიანი მიაყენა სამხრეთ-სლავიას

ნებოდა სერბიის ბურჟუაზიასთან გამართული დავის არაპარლამ[illegible] გადაჭრა, მაგრამ ახალი მთა[illegible] ჩქარა დაუმტკიცა [illegible].

მთელ სახე[illegible] გამოთქმული [illegible] ლესი ტერორ[illegible] ფერს, რასაც [illegible].

მეფე ალექ[illegible] ცებს, რომ [illegible] პარლამენტო[illegible] მშვენივრად ემ[illegible] ბურჟუაზიისა და უცხოეთის კა[illegible].

X.